

შეთანხმება

„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთა სავიზო მოთხოვნებისგან ორმხრივად გათავისუფლების შესახებ“

საქართველოს მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში „ხელშემკვრელი მხარეები“);

თავიანთ ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი ხელშეწყობისა და თავიანთი მოქალაქეებისთვის ვიზიტების გაცვლის გამარტივების მიზნით; და

თანასწორობისა და ნაცვალებების პრინციპების საფუძველზე მეგობრული კონსულტაციების ჩატარების შემდეგ;

შეთანხმდნენ ორდინალური პასპორტების მფლობელთა სავიზო მოთხოვნებისგან ორმხრივად გათავისუფლებაზე შემდეგი წესით:

მუხლი I

საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ საქართველოს მოქმედ ორდინალურ პასპორტებს, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქმედ ორდინალურ პასპორტებს, თავისუფლდებიან ვიზის აღების ვალდებულებისგან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლის, გასვლის ან ტრანზიტით გასვლის მიზნით, ამასთან, თითოეულ შესვლაზე ყოფნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ (30) დღეს, ხოლო ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ (90) დღეს ნებისმიერ ასოთხმოც (180)-დღიან პერიოდში.

მუხლი II

ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები შევლენ, გავლენ ან ტრანზიტით გაივლიან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას, საერთაშორისო მოგზაურთათვის ღია პორტებში, და შეასრულებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის იმ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც არეგულირებს უცხოელთა ქვეყანაში შესვლას, გასვლასა და ტრანზიტს.

მუხლი III

1. ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები შეასრულებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქმედ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, მის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში.

2. ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები, რომლებიც აპირებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დარჩენას ოცდაათ (30) დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ან ცხოვრებას, ან მუშაობის დაწყებას, სწავლას, ან მედიასაშუალებაში საქმიანობას ან სხვა სახის საქმიანობას, რომელიც საჭიროებს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოებისგან წინასწარ ნებართვას, ვალდებულნი არიან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლამდე შეიტანონ განაცხადი შესაბამისი ვიზის მისაღებად.

3. ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული თითოეული შესვლის ხანგრძლივობა არ ექვემდებარება გახანგრძლივებას, გარდა ჰუმანიტარული მიზნების, ფორსმაჟორული გარემოებების ან მეორე



ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ განსაზღვრული სხვა მიზეზების შემთხვევაში.

მუხლი IV

ეს შეთანხმება არ ზღუდავს რომელიმე ხელშემკვრელი მხარის უფლებას, აუკრძალოს თავის ტერიტორიაზე შესვლა ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული მეორე ხელშემკვრელი მხარის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ის მიუღებლად მიიჩნევს, ან უფლებას, შეწყვიტოს მათი ყოფნა თავის ტერიტორიაზე, მიზეზების მითითების გარეშე.

მუხლი V

1. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ, დროებით შეაჩეროს ამ შეთანხმების მოქმედება ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა მან დიპლომატიური არხების მეშვეობით, დროულად და წინასწარ, წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს მოქმედების შეჩერების ან მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.

2. მოქმედების შეჩერება ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, არ შეზღუდავს ამ შეთანხმების I მუხლში მითითებული მეორე ხელშემკვრელი მხარის იმ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომელმაც მოქმედება შეუჩერა ამ შეთანხმებას.

მუხლი VI

1. ხელშემკვრელი მხარეები დიპლომატიური არხების მეშვეობით გაცვლიან ამ შეთანხმების I მუხლში მითითებულ თავიანთი პასპორტების ნიმუშებს, ამ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში.

2. თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე გასცემს ახალ პასპორტებს ან ცვლილებებს შეიტანს არსებულ პასპორტებში, ეს ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელ მხარეს დიპლომატიური არხების მეშვეობით დროულად შეატყობინებს აღნიშნული ცვლილებების შესახებ და წარუდგენს მას ახალი ან მოდიფიცირებული პასპორტების ნიმუშებს მათ გამოყენებამდე არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღით ადრე.

მუხლი VII

ამ შეთანხმებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს წერილობით, ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთთანხმობით. ცვლილება ძალაში შევა ამ შეთანხმების IX მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი VIII

ამ შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უთანხმოება მოგვარდება ხელშემკვრელ მხარეთა შორის მეგობრული კონსულტაციების ან მოლაპარაკებების გზით.



მუხლი IX

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელ მხარეს წერილობით, დიპლომატიური არხების მეშვეობით აცნობებს ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭირო შიდა სამართლებრივი პროცედურების დასრულების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში შევა ბოლო წერილობითი შეტყობინების დღიდან ოცდამეათე (30) დღეს.
2. ეს შეთანხმება ძალაში დარჩება მანამ, სანამ რომელიმე ხელშემკვერელი მხარე არ მოითხოვს მისი მოქმედების შეწყვეტას. ამ შემთხვევაში, ეს ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელ მხარეს წერილობით, დიპლომატიური არხების მეშვეობით აცნობებს აღნიშნულის შესახებ, და ეს შეთანხმება მოქმედებას შეწყვეტს შეტყობინების დღიდან ოთხმოცდამეათე (90) დღეს.
3. ეს შეთანხმება არ ზღუდავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის სამსახურებრივი მგზავრობის უვიზო რეჟიმის შესახებ“ შეთანხმებიდან, რომელსაც ხელი მოეწერა თბილისში, 1994 წლის 5 იანვარს.
4. ორივე მხარე თანხმდება, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დაიწყება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის უვიზო ჯგუფური ტურისტული მგზავრობის შესახებ“ თბილისში, 1994 წლის 5 იანვარს ხელმოწერილი შეთანხმების (შემდგომში „უვიზო ჯგუფური ტურისტული მგზავრობის შესახებ“ შეთანხმება) მოქმედების შეწყვეტის პროცედურა. ჩინეთის მხარე წერილობით შეტყობინებას გაუგზავნის საქართველოს მხარეს „უვიზო ჯგუფური ტურისტული მგზავრობის შესახებ“ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, „უვიზო ჯგუფური ტურისტული მგზავრობის შესახებ“ შეთანხმების VIII მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელის მომწერმა და თავიანთი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2024 წლის 10 აპრილს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

მთავრობის სახელით

მთავრობის სახელით

(ხელმოწერილია)

(ხელმოწერილია)

